ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2659386

ნომერი: AR1409548

თარიღი : 31.05.2016

გაცემის თარიღი : 24.06.2016

გაცნობის თარიღი : 25.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , "ვარკეთილი-2"-ის ტერიტორიაზე (ნაკვეთი N44)/ ქალაქი თბილისი , "ვარკეთილი 2"-ის I მ/რ ტერიტორიაზე , (ნაკვეთი N43) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- ურიცკის ქ.№26

ორგანიზაცია:
- შპს "ეპიკ ვარკეთილი" კოდი: 404506833

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2016 წლის №2612104 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 31/05/2016 წლის #AR1409548 განცხადებით მომართა ვასილი ჯალაღონიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2016 წლის №2612104 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2016 წლის №2612104 ბრძანებით ქ. თბილისში, „ვარკეთილი 2“-ის I მ/რ. ტერიტორიაზე (ს.კ.N 01.19.36.014.629) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 24.05.2016 წლიდან 24.05.2018 წლის ჩათვლით.

განმცხადებელი ითხოვს 24.05.2016 წლის №2612104 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ, ამავე ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას შესწორებული გეგმებით.

განმცხადებლის მიერ, 31/05/2016 წლის #AR1409548 განცხადებით გადმოგზავნილ იქნა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის იდენტური გეგმები (+ 3.30 ნიშნულის და + 6.60 ნიშნულის), იდენტურ ფორმატში შესწორებული ფართების დაფიქსირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან განმცხადებლის მიერ 31/05/2016 წლის #AR1409548 განცხადებით წარმოდგენილია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის იდენტური გეგმები, იდენტურ ფორმატში შესწორებული ფართების დაფიქსირებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გეგმების ჩანაცვლება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2016 წლის №2612104 ბრძანებით შეთანხმებული + 3.30 ნიშნულის და + 6.60 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს 31/05/2016 წლის #AR1409548 განცხადებით წარმოდგენილი (+ 3.30 ნიშნულის და + 6.60 ნიშნულის გეგმებით.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2016 წლის №2612104 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.